ქ. თბილისის საკრებულოს აპარატი
STAFF OF TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ. 10, ტელ./ფაქსი: 293 37 10; 299 66 36
10, LERMONTOVI ST., 0105 TBILISI, GEORGIA; TEL./FAX: (+995 32) 293 37 10; 299 66 36

№ 465 „01" დეკემბერი 2013 წ.

მოქალაქე: ალ. ჩხუბიანიაშვილს
მცხოვრები: გოთუას ქ. №20 ბ.32

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი 2013 წლის 1 თებერვლის №465 განცხადების პასუხად, გიგზავნით „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ.თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-2 გადაწყვეტილებას.

დანართი: 8 ფურცელი

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი გ.გოგია

ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 1-2

„25" იანვარი 2013 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში (საქართველოს რესპუბლიკა, 25.06.2009, №127-128) და გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით

1. გადაწყვეტილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (35 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისიის" მიერ.

2. გადაწყვეტილების მიღების მიზანია დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. გადაწყვეტილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:

წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 35 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, დიღმის მასივში, VI კვარტალში, №22ბ კორპუსთან არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.13.03.031.003) და მიმდებარე ტერიტორიისთვის დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-ს, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-სა და სარეკრეაციო ზონა 1-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით და სარეკრეაციო ზონა 1-ით, სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით. ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2012 წლის ოქმი №46), მოქ. მ. ნემსაძე.

2. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, შეშელიძის ქ. №17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.17.001.130) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 და სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2012 წლის ოქმი №46), მოქ. ალ. ჩხუბიანიშვილი.

3. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ანდრონიკაშვილის ქ №12ა-ში არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.03.001.004-მიმდებარედ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და სატრანსპორტო ზონა 1-ს და შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2012 წლის ოქმი №46), მოქ. ბ. ყაველაშვილი.

4. ქ. თბილისში, ვაკ-საბურთალოს რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირის №49ა-ში არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.008.016-ის მიმდებარედ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2012 წლის ოქმი №46).

5. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, ”თეთრი დურქნის” მიმდებარედ არსებული ტერიტორიისთვის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.004 და მის მიმდებარედ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2012 წლის ოქმი №46), მოქ. დ. გახარია.

6. ქ. თბილისში, გალდანი-ნაძალადევის რაიონში, გობრონიძის ქ. №9-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.13.002.083) და მის მიდებარედ დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონასა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის.

ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2012 წლის ოქმი №47), მოქ. რ. ტყემალაძე.

7. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.036.251, 01.72.14.036.421) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელ ზონა 5-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-ს შორის.

საცხოვრებელი ზონა 5 და სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის” 2012 წლის ოქმი №47), მოქ. ნ. კაციტაძე.